

სტიგმა

შენ არაერთხელ გსმენია აივ/შიდსის შესახებ. როგორც წესი, ადამიანების დიდ ნაწილს ამ დაავადებასთან დაკავშირებით უარყოფითი ემოციები და შიში უჩნდება. ასეთი დამოკიდებულება უარყოფითად აისახება იმ ადამიანებზეც, ვისაც ეს დაავადება აქვს, ანუ აივ დადებით ადამიანებზე.

რას ნიშნავს აივ დადებითი ანუ აივ პოზიტიური?

ეს არის ადამიანი, რომელიც ინფიცირებულია აივ-ით - ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით, რომელიც იწვევს შიდსს.

იცი, ვინ არიან აივ დადებითები? როგორ ცხოვრობენ ისინი? რა უხარიათ და რა სტკივათ? რა მიზნები და ოცნებები აქვთ? ისინი საზოგადოების ჩვეულებრივი წევრები არიან, ისევე, როგორც ადამიანები, რომლებსაც სხვა ქრონიკული დაავადება აქვთ, მაგალითად, დიაბეტი, ქრონიკული ჰეპატიტი. ისინი არ წარმოადგენენ საშიშროებას საზოგადოებისთვის, რადგან აივ/შიდსი მეგობრობით, მოფერებით, დახვეულებით, დაცემინებით, შეხებით და სხვა ასეთი კონტაქტით არ გადადის.

“მე მესმის, ადამიანები დაბნეულები არიან აივ/შიდსის პრობლემის გამო. ჩემი აზრით, ეს გამოწვეულია იმით, რომ მათ არ იციან ამ დაავადების გადაცემის გზები. ვფიქრობ, როცა საზოგადოებას მეტი ეცოდინება აივ/შიდსის შესახებ, მათი დამოკიდებულებაც შეიცვლება ინფიცირებულების მიმართ და ისინი ადარ მოგვერიდებიან.”

ლექსო, 40 წლის
აივ პოზიტიური

აივ/შიდსის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება იწვევს დაავადებული ადამიანების სტიგმატიზაციას და დისკრიმინაციას.

რა არის სტიგმა?

სიტყვა *სტიგმა* ნიშნავს *დამღას.* ადამიანების სტიგმატიზაცია არის საზოგადოებისათვის მიუღებელი თვისებების და მახასიათებლების გამო მათი გამორჩევა, მათთვის გარკვეული (უარყოფითი) იარლიყის მინიჭება.
ადამიანის სტიგმატიზაცია შეიძლება მოხდეს მათი კანის ფერის, საუბრის მანერის, ქცევების, ცხოვრების სტილის, რაიმე დაავადების და სხვ. გამო.

რა არის დისკრიმინაცია?

დისკრიმინაცია არის ადამიანების ჩაგვრა, მათი

უფლებების შეზღუდვა იმის გამო, რომ ისინი მიეკუთვნებიან გარკვეულ ჯგუფებს, ცხოვრობენ არა ისე, როგორც უმრავლესობა.

აივ/შიდსით ინფიცირებულ ადამიანთა უფლებები ხშირად სხვადასხვა ფორმით ირღვევა. მაგალითად, საავადმყოფოსა და ციხის სამედიცინო პერსონალმა შესაძლოა უარი განაცხადოს აივ ინფიცირებული პაციენტის მომსახურებაზე. დამქირავებელმა შესაძლოა გააგდოს სამსახურიდან ადამიანი, რომელიც ინფიცირებულია აივ-ით. ეს ადამიანები ამ დაავადების გამო ხშირად გარიყულნი არიან საზოგადოებისგან.

კვლევების შედეგად გამოიკვეთა რიგი ფაქტორებისა, რომლებიც ზემოქმედებენ აივ/შიდსთან დაკავშირებულ სტიგმაზე:

- *არაინფორმირებულობა (დაავადების გადაცემის გზების შესახებ ინფორმაციის არ ქონა)*
- *დაავადების შიში, რადგან ეს მომაკვდინებელი სენია;*
- *დაავადების ასოცირება ქცევასთან (მაგ: ხშირად ფიქრობენ, რომ თუ ადამიანი აივ-ით არის ინფიცირებული, ის აუცილებლად ჰომოსექსუალური ორიენტაციისაა, ან აუცილებლად ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებელია და სხვა);*

- *რელიგიური და მორალური შეხედულებები (მაგ: აივ-ით ინფიცირდება ის, ვინც ამორალურ ცხოვრებას ეწევა).*

ძალიან ხშირად ადამიანები თვლიან, რომ აივ ინფიცირებულებმა დაიმსახურეს ის, რაც მათ დაემართათ, რომ ეს მოხდა მათი ქცევების, თვისებების და ცხოვრების სტილის გამო. როგორც წესი, ეს არის დაკავშირებული სექსთან ან იმ ქმედებებთან, რომელიც საზოგადოების მიერ არის გაკიცხული, მაგალითად, ნარკოტიკების მოხმარება.

"ადამიანებს ჰგონიათ, რომ აივ/შიდსი ნარკომანების და მეძავების დაავადებაა. ქუთაისში რომ ინფიცირებულები დაიხოცნენ... ისინი ხომ ბავშვები იყვნენ"

სალომე, 22 წლის.

აივ პოზიტიური

დღეს უკვე ყველასათვის კარგად ცნობილია, რომ აივ/შიდსი შესაძლებელია დაემართოს ყველას – დიდსა თუ პატარას, ნებისმიერი პროფესიის, სქესის, სარწმუნოების თუ კანის ფერის ადამიანს.

2006 წელს, მსოფლიოში ინფიცირებულთა საერთო რაოდენობა შეადგენდა *39,5 მილიონ* ადამიანს, აქედან:

- *2,3 მილიონი* 15 წლამდე მოზარდია;
- *37,2 მილიონი* ზრდასრული მოსახლეობაა, რომელთაგან 17,7 მილიონი ქალია;

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია

საზოგადოების მხრიდან უარყოფითი დამოკიდებულება აივ დადებითებში ხშირად იწვევს სირცხვილის განცდასა და თვითსტიგმატიზაციას. თვითსტიგმატიზაცია გულისხმობს, რომ ადამიანი საკუთარ თავს თვითონ ანიჭებს უარყოფით იარლიყს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს დეპრესია, საკუთარ თავში ჩაკეტვა და არასრულფასოვნების განცდა. ფსიქიკური მდგომარეობის ასეთი გაუარესება უარყოფითად აისახება აივ დადებითების ფიზიკურ მდგომარეობაზეც.

> *"ჩემს შესახებ არავინ იცის. არც მეგობარმა და არც ოჯახის წევრმა. არ იციან იმიტომ, რომ არ მინდა ტკივილი მივაყენო ოჯახის წევრებს. მეგობრების შემთხვევაში კი არ ვიცი, როგორ მიიღებენ. ეს ძალიან ძნელია."*
>
> **გიგი, 30 წლის.**
> **აივ პოზიტიური**

რა შედეგი შეიძლება მოყვეს სტიგმასა და დისკრიმინაციას?

ადამიანებმა, რომელთაც თავად შეეხოთ აივ/შიდსი, კარგად იციან, თუ რა არის ეს და როგორ იმოქმედონ ამ დაავადების წინააღმდეგ, მაგრამ საზოგადოების მხრიდან უარყოფითი დამოკიდებულება და გარიყვის შიში აივ დადებითებში იწვევს პასიურობასა და უმოქმედობას.

“ადამიანები, რომელთაც ეს შეეხოთ, არ არიან აქტიურები იმიტომ, რომ ეშინიათ, თვითონ შეექმნებათ პრობლემები”

ნანი, 50 წლის
აივ პოზიტიური

“ბევრი აივ დადებითი ვიცი, რომელთაც თავისი სტატუსი გახსნეს და მერე პრობლემები შეექმნათ საკუთარი ოჯახის მხრიდანაც კი”.

ბორისი, 37 წლის
აივ პოზიტიური

აივ დადებით ადამიანებს ჩვენი თანაგრძნობა ესაჭიროებათ!

“მკურნალობაზე მეტად მე გვერდში დგომა მესაჭიროება. მთავარია, დეპრე-სიაში არ ჩავვარდე”

მარიამი, 19 წლის
აივ პოზიტიური

“არ ვიცი, საზოგადოებას როგორ მივმართო. ხომ ვერ ვეტყვი, მე ავად ვარ და მიმიღეთ-თქო. არ მინდა ვგრძნობდე იმას, რომ განვსხვავდები და არც შეცოდება არ არის საჭირო. უბრალოდ, ნუ განმიკითხავენ. მეც ისეთივე ადამიანი ვარ, როგორც ისინი. ჩვენს შორის განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ მე აივ დადებითი ვარ”

ლადო, 27 წლის
აივ პოზიტიური

დამატებითი ინფორმაციისათვის შეგიძლიათ მოგვმართოთ:

საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი "თანადგომა"

თბილისი

ტელ: 25 18 19

ბათუმი

ტელ: 7 42 13

ზუგდიდი

ტელ: 5 12 03

ქუთაისი

ტელ: 6 50 26

ფოთი

ტელ: 2 73 65

ვებ-გვერდი: www.tanadgoma.ge

კონსულტაციები უფასო და ანონიმურია